№ 140

პარასკევი, 3 ივლისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 140

პარასკევი, 3 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



თავ. ასლან წულუკიძის ასული **ბაბილინა** და ძმის წული მისი უგანათლებულესი კნეინა **ნიდიტორა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 ივლისს, შტაბს როტმისტრის თავადის

**ასლან ვახტანგის ძის წულუკიძის**

გარდაცვალებიდგან ორმოცის დღის შესრულებისა გამო გარდახდილ იქმნება მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში ქ. ქუთაისს წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—109—2)

პარასკევს, 3-ს ივლისს, სტატსკი სოვეტნიკის

**ილია ლაზარეს ძე სერებრიაკოვის**

გარდაცვალებიდგან ნახევარ წლის შესრულების დღეს, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის მღვთის მშობლის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

**თავადი სვიმონ თომას ძე ანდრონიკაშვილი** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თვისის ძვირფასის მეუღლის კნეინა

**თებრონია გიორგის ასულის ანდრონიკაშვილის**

გარდაცვალებას და სთხოვს მობრძანდენ გვამის დაკრძალვაზე დასასწრებლად 4 ივლისს სიღნაღის მაზრის სოფელ ნუკრიანში. (1—111—1)

**„აღმოსავლეთის მაღაზია“**

**იოსებ მერკვილაძისა**

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული** მრავალი **საქონელი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანზა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე ისყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ქართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.** (10—88—9)


წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაცკი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . | 1—„ |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . | „—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) . . . | „—25 |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი . . . . . | „—70 |
| იგივე II ტომი. . . . . | „—60 |
| იგივე III ტომი . . . . | „—60 |
| იგივე IV ტომი . . . . | „—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მახხანელისა. . . . . . . | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტ. | „—60 |
| „ „ იგივე II ტ. | „—60 |
| თხზ. რ. ერისთავისა I ტ. | „—60 |
| არაკები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე მისივე . . | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . . | „—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | „—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . . . . . | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| ბალავარი . . . . . . . | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . | „—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . | „—10 |

(10—6—3)


**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567. (50—80—42).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-(სიდა საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)


## ახალი ამბავი

⁂ მომავალ კვირას ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ მოხდება არჩევანი ტფილისის მოქალაქეთა და გარდასახადის ამკრებ მამასახლისისა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება დაუგზავნა ბოქაულებს: გამოუცხადეთ ტფილისის სახლების პატრონთ გუბერნატორის მიერ დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანი ქუჩებისა და ეზოების სუფთად შენახვის შესახებ და ჩამოართვით ხელწერილები სახლის პატრონებს 15 ივლისამდის, რომ ამ დღიდგან შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებასაო.

⁂ თიანეთის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა დაიწყო ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ თიანეთის მაზრაში გავრცელებულ საქონლის ჭირის მოსასპობად შემოღებულ იქმნას აქაც ის კანონი, რომლის ძალითაც ჭირიანი საქონელი უნდა დაიხოცოს და პატრონთ ზარალის აღსადგენად შესაფერი ჯილდო მიეცეთო.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის ხევის მცხოვრებლს სვიმონ მაჭარაშვილს ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოჰპარეს 15 მსხვილ-ფეხა საქონელი.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვიდგან მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი მ. ი. კონოვალოვი.

⁂ ქალაქის საბჭოს ერთმა ხმოსანმა წინადადება წარუდგინა საბჭოს, რომ დაარსებულ იქმნას ხმოსანთა განსაკუთრებული კომისია და ამ კომისიას დაევალოს საქმეების განხილვა იმ მოხელეთა, რომელნიც ჰკრებენ სხვა-და-სხვა გვარ გარდასახადსაო.

⁂ გაზ. „Моск. Вѣд.“ სწერს, რომ ნება დართულ იქმნა დაარსდეს ახალი ნავთის მწარმოებელი ამხანაგობა სახელ-წოდებით: „ი. გ. თუმაევი და ამხ.“, რომელსაც ძირის თანხად 2.000,000 მან. აქვს.

⁂ 30 ივნისს დარია პატარაძემ გამოუცხადა პოლიცმეისტერს, რომ 26 ივნისს, ჩემი 15 წლის შვილი, სახელად ნიკოლოზი, სახლიდგან გავიდა და აღარ დაბრუნებულაო.

## ქალაქის საბჭო

1 ივლისი

გუშინ წინ ქალაქის საბჭოს უკანასკნელი კრება ჰქონდა. ამ საღამოს საბჭომ დაამტკიცა ამა წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა. სხვათა შორის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 238 მანეთი იმ შენობის შესაკეთებლად, სადაც სახალხო წარმოდგენები იმართება ხოლმე. შემდეგ, საბჭომ დაადგინა, რადგანაც მთავრობამ ნება არ დართო დააარსოს წიგნთ-საცავი, ის 16,000 მანეთი, რომელიც ამისთვის იყო გადადებული, სხვა საქმეებს მოახმაროს, იმ პირობით-კი, რომ ოთხის ან ხუთის წლის განმავლობაში ხელ-ახლად შეავსოს ეს თანხა.

დასასრულ ორი თუ სამი ხმოსანი შეეკითხა გამგეობას, რას ჰფიქრობთ ქუჩების დაგვა-დასუფთავების შესახებაო. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 15 ივლისიდგან საბჭოს დადგენილების ძალით, ქუჩები თვით სახლის-პატრონებმა უნდა დაწმინდონ და ნაგავიც მათვე უნდა გაიტანონ. ამ ხმოსნების აზრით, საბჭოს დადგენილებას ყურადღებას არავინ მიაქცევს და ქუჩები მუდამ ნაგვითა და უსუფთაობით იქმნება სავსე. სხვათა შორის ხმ. ხუდადოვმა სთქვა, რომ ეგ წესი ჩვენს გაუნათლებელ ქალაქში არ გამოდგებაო. სახლის-პატრონები არამც თუ ქუჩებს არ დაგვიან, ეზოს ნაგავსაც ქუჩაში გაიტანენ და იქ დაჰყრიანო. ამიტომ სთხოვა გამგეობას რამე იღონეთ ამ საქმის მოსაწყობადაო. ქალაქის მოურავმა მიუგო, რომ გამგეობა კარგა ხანია მაგ საგნის შესახებ ჰფიქრობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგაო. ორი აზრია წამოყენებული: ერთი ის, რომ სახლის პატრონებს ძალის დატანებით, ჯარიმის გადახდით ვასუფთავებინოთ ქუჩებიო, მეორე კიდევ ის, რომ სახლის პატრონები შეეკრან პირობით ქუჩის მგველ მუშათა ამხანაგობებს, აძლიონ მათ ფული და აწმენდინონ ქუჩებიო. ზოგმა ხმოსანმა ის აზრიც-კი წარმოსთქვა, ვსთხოვოთ გუბერნატორს გააუქმოს ახალი გარდაწყვეტილება ქუჩების დაგვის შესახებ, რომ წინანდელ წესს დაუბრუნდეთო.

დასასრულ ხმ. ბაბოვი შეეკითხა მოურავს, გვაცნობეთ, რა მდგომარეობაშია სატივეს საქმე, გადასახადი ერთმევათ თუ არა მეტივეებსაო? მაგრამ ხმოსნებმა დაიძახეს, გვცხელა, გვცხელა, მაგის თავი აღარა გვაქვსო. მოურავმაც პასუხი აღარ მისცა და კრება დაიშალა.

## ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

(სამღვდ. დეპუტატთა მორიგი კრება. 15—18 ივნისი)

(დასასრული *)

დიდი კამათი გაიმართა დეპუტატთა შორის სასწავლებლის ბაღის შენახვის შესახებ. ეს ბაღი, როგორც მოგეხსენებათ, ნეტარ-ხსენებულის გრიგოლ გურიელისეულია და როგორც სივრცით, ისე ხეხილთა მრავალ ფერობით და ჯიშით შესანიშნავია. აქვს საბოსტნე და საყვავილე განყოფილება და რომ ჯეროვანი მოვლაც ჰქონდეს, მშვენება და სიამაყე იქნებოდა სასწავლებლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი ეშველა იმის გამოწალმართებას, იმისს წეს-რიგში მოყვანას. სამღვდელოებამ ამის შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ ყოველ წელიწადს ხარჯი აქვს და სარგებელი კი არა; რის გამოც ერთის მხრით უიმისოდაც დაცალიერებული ჯიბე სამღვდელოებისა ცალიერდება და მეორეს მხრით ბაღი იმ მდგომარეობაშია, რომ განადგურებას და გაველანებას არა უკლია რა.

ამ რამდენისამე წლის წინად ნასწავლი მებაღეც მოიწვიეს და ბაღს რაციონალურად უპირებდნენ შემუშავებას, მაგრამ აქედამაც არა გამოვიდა რა. მებაღემ ერთის წლის ჯამაგირი წაიღო და მწუხარებით განაცხადა, რომ ასეთ პირობებში აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო; ხოლო არაფრის საკეთებლად ან მე როგორ მოვიცდი და ან თქვენ როგორ მომცემთ ჯამაგირსაო. მიზეზიო? იკითხავთ. მიზეზი ისა ყოფილა, რომ მებაღის სპეციალურ საქმეში სრულიად უბოდიშოდ ჩარეულან მებაღეობის არა სპეციალურად მცოდნე სულდგმულნი: ქათმები, ბატები, იხვები და, ასე გასინჯეთ, ძროხებიც-კი მაშინდელის პატივცემულის ზედამხედველისა. ხოლო სადაც მებაღეს ასეთ ბეჯით და გულ-მოდგინე თანაშემწეთა აუარებელი რიცხვი ეყოლება, იქ, რა თქმა უნდა, ბაღის საქმე სამაგალითოდ წავა. აკი წავიდა კიდეც.

ამის შემდეგ სამღვდელოებას ისევ შინაურულ საშუალებისათვის მიუმართავს და ერთი უბრალო მებაღე დაუჭერია, რომელიც წინად, ვგონებ, გურიელსაც ჰყოლია მებაღედ. უკანასკნელის ხელში ამ მრავალ ტანჯულ ბაღს უფრო უარესი დღე დასდგომია. მებაღეს მისდამი რწმუნებულს ბაღში უკაკანია მხოლოდ, კვერცხი-კი სხვაგან უდვია...

აქ ფიალა სამღვდელოების მოთმინებისა გალიცლიცებულა და შარშან ბაღზე სრულიად აუღიათ ხელი. სასწავლებლის მმართველობისათვის ჩაუბარებიათ იმისი ბედ-იღბალი. კიდეც თოხნე და კიდეც ხოხნეო. ჩვენ მხოლოდ შეგილოცავთ და დანარჩენი თქვენ და თქვენმა ნამუსმა იცოდესო.

წელს სამღვდელოების დეპუტატთა ბედნიერმა თვალებმა იხილეს ბაღი და, სწორე მოგახსენოთ, ძვირსახილველი აღმოჩნდა. ბაღი კი არა, ნატამალიც აღარ არის ბაღისა.

კამათიც ამის შესახებ გაიმართა. რა ვუყოთ ამ ბაღს, დავსტოვოთ ამავე მდგომარეობაში, თუ გავაწეს-რიგოთ და გამოვაბრუწოთო. ხმის უმეტესობით გადაწყდა, რომ გადადებულ იქმნას ნასწავლის მებაღის მოსაწვევად წლიურად 600 მ. და ბაღი ბარემ რაციონალურად იქმნას შემუშავებულიო. დაევალოს მებაღეს, რომ მოწაფეებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ასწავლოს, რამდენადაც შესაძლებელ იქნება, მებოსტნეობა, ხეხილის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სხვ. უკეთუ საქმის თავდაპირველ მოსაწყობად ეს ფული არ იქნება საკმაო, სამღვდელოება მზად არის, რამდენიც საჭირო იქნება, მიუმატოს; ოღონდ კი ბაღი განკარგდეს, გაწესრიგდეს და წინანდელი მწარე მაგალითი უყურადღებობისა და სხვისი ქონების აბუჩად აგდებისა არ გამეორდეს.

—

ასეთია სამღვდელოების დეპუტატთა დადგენილობა და აღსრულება ღმერთზედ ჰკიდია. ყოველ საზოგადო საქმის სათავეში გულ-შემატკივარი კაცი უნდა ედგეს და ასეთი კაცი კი ამ გაუკუღმართებულს და გაიახსირებულ დროში ძნელი საპოვნელია.

წარსულ წლების დადგენილობათა შორის სასწავლებლის მმართველობას რამდენიმე დადგენილობა ჯერაც არ აუსრულებია. მაგალითად: სასწავლებლის ბაღის აღმოსავლეთის მხრით $^2/_3$ დესიატინა მიწა სამრევლო სკოლისათვის უნდა მიეზომა და მიექრა. დღემდე არც მიუზომავს, არც მიუქრია. სასწავლებლის ეზოში და ბაღში, გარდა ორის უმთავრესის ჭიშკრისა, ყველა შესავალი უნდა დაეკეტა და არ დაუკეტავს-კი. სასწავლებლის ეკკლესიისათვის ქართული საეკკლესიო ღვთის მსახურების ყველა წიგნი უნდა შეეძინა და არ შეუძენია-კი.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? გარდა იმისა, რასაკვირველია, არაფერს, რომ სასწავლებლის მმართველობას სამღვდელოება მხოლოდ იმდენად ეინტერესება და ეპიტნავება, რამდენადაც ეს უკანასკნელი სასწავლებლის ხარჯის დაკმაყოფილებას შეიძლებს. ხოლო თუ ეს ასე არ იყოს, მაშ რის მომასწავებელია ის გარემოება, რომ ეპარქიის უფროსის მიერ დამტკიცებული დადგენილება სამღვდელოების დეპუტატთა აგრე მისაფუჩეჩებელი ხდება ხოლმე.

დასასრულ, არ შემიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნო დეპუტატთა წლევანდელი კრების ის ღვთისნიერი საქციელი, რომ თოთხმეტი ღარიბი მოწაფე განთავისუფლებულ იქმნა ერთის წლით სასწავლო გარდასახადისაგან. წლიურ გარდასახადად დადებულია 20 მ., ხოლო 14 ჯერ 20 მ. უდრის 280 მ. ამ ზნეობრივად და ქონებრივად გაფუქსავატებულ დროში ესეც საქმეა, ესეც ქველ მოქმედებაა.

კნინი

*) იხ. „ივერია", № 139.

## რუსეთი

—

რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხარჯით სამაგალითო სკები იქმნან დადგმულნი იმ გუბერნიებში, სადაც მეფუტკრეობას მისდევენ და ამ გვარად ხელი შეეწყობა მეფუტკრეობის განვითარების საქმესო.

— მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომ მრავალმა უნივერსიტეტის საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტზედ სწავლა დამთავრებულმა მოისურვოს შესვლა, ინსტიტუტის მთავრობამ დაადგინა, გაანთავისუფლოს ასეთნი ინსტიტუტის ზოგიერთ საგნების სწავლებიდგან და ამ გვარად შეაძლებინოს ინსტიტუტის სათეორიო კურსის დამთავრება მხოლოდ ოთხის ნახევარ სამოსწავლო წლის განმავლობაში.

— საერო განათლების სამინისტრო დიდის თანაგრძნობით მიეგება თურმე ქ. ნიჟეგოროდის შუამდგომლობას, რომ ნება მოგვეცით პოლიტეხნიკუმი დავაარსოთო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს შეიმუშაოს სამაგალითო პროგრამა ბაღოსნობის იმ დროებითის კურსებისა, რომელიც იმართება ხოლმე სახალხო მასწავლებელთათვის.

— უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება პეტერბურგის ნავთის მწარმოებელთა საზოგადოებისა, რომელსაც ძირის თანხად 1.200,000 მან. აქვს.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** თითქმის ყველა გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ ესპანელებმა უკანასკნელ ბრძოლის დროს, როგორც ზღვაზედ, აგრეთვე ხმელეთზედ, დიდი გაქაცობა და მამაცობა გამოიჩინესო. ესპანიის არც ერთი გემი არ დამორჩილდა თავის ნებით ამერიკელებს. ზღვაოსნები თავ-გამოდებით იბრძოდნენ. გემებს ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ ისინი მაინც არა სცხრებოდნენ და ცოცხლები არა მორჩილდებოდნენ ამერიკელებს. სამპსონის ძლიერმა ესკადრამ უველგან გზა გადაუღობა ესპანიის გემებს და გასასვლელი აღარსაით მისცა. ესპანელებმა ტყვედ ჩავარდნას თავის ხელითვე თავიანთის გემის დაღუპვა ამჯობინეს. ამიტომ სამი-ოთხი გემი განგებ ნაპირს დააჯახეს. რამდენისამე წუთის შემდეგ ამ გემების ნამტვრევები-და დატივტივებდნენ ზღვაზედ. განსაკუთრებით ბევრი განსაცდელი და წვალება იმ გემმა გამოიარა, რომელზედაც ადმირალი სერვერი იყო, რადგანაც ესკადრას ის მიუძღოდა წინ, ამერიკელებმა პირველად ამ გემს დაუშინეს ყუმბარები. გემი მარჯვეთ გაუსხლტა ამერიკელებს და დასავლეთისაკენ გაექანა, მაგრამ უკან ჩამორჩენილმა ამერიკის ოთხმა ხომალდმა გზა გადაუღობა და აღარსად გაუშვა. ყოველის მხრიდგან ამერიკელებმა სერვერის გემს ყუმბარები დაუშინეს. რაკი ესპანელებმა დაინახეს, რომ ხსნა აღარსად იყო, სადმირალო გემი გააქანეს, მახლობელ ნაპირს დააჯახეს და დაღუპეს. ამერიკელებმა იმ წამსვე ნავები მიაშველეს და წყალში ჩავარდნილი ესპანელები გადაარჩინეს. ადმირალი სერვერი და აფიცრები „Saint Louis"-ის გემზედ გადასხეს. გამარჯვებულმა ამერიკელებმა ტყვედ წაიყვანეს ორის სხვა გემის უფროსიც. სამმა აფიცერმა და ქვსმა ზღვაოსანმა თავი შეაფარა გაზეთების კორესპონდენტთა გემს, რომელიც იქვე მახლობლად იდგა და ბრძოლას თვალყურს ადევნებდა. ამ ბრძოლის დროს ამერიკელებმა მოჰკლეს 350 ესპანელი, დასჭრეს—160, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 1600. სერვერის ესკადრიდან გადარჩა ერთად-ერთი გემი. ეს გემი უველა სხვა გემზედ უფრო მსწრაფლ მოსიარულე იყო და ამის წყალობით გაუსხლტა ამერიკელებს. მაგრამ, ამბობენ, რომ ეს გემიც არ გადარჩა და სადმე ჩაიძირა, რადგანაც ამერიკის ყუმბარამ ისიც ძალიან დააზიანაო.

# ფელეტონი

—

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებების წარმოების მასალად შედგენილი ა. ნატროშვილისაგან. ნაწილი I, ტფილისი, 1893 წ. ფასი 35 კაპ.

საზოგადოდ ანგარიშის სწავლების წესი პირველ დასაწყისს სკოლებში დღესაც ყველა საგნების სწავლების წესზე უფრო სუსტად არის შემუშავებული საპედაგოგიო მწერლობაში. დღესაც ძალიან ბევრი მასწავლებელი მისდევს ანგარიშის სწავლების საქმეში ნემეცების პედაგოგის გრუბეს მეთოდს, რომელიც რუსეთის სკოლებისათვის შემოღებული და განხორციელებული იქმნა ცნობილის პედაგოგის ევტუშევსკის მიერ. ამ ბოლო დროს-კი ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა შოხორტროცკისა და გოლდენბერგს, რადგანაც ამათი მეთოდი ანგარიშის სწავლების შესახებ ზოგიერთ საკითხებში ბევრად განირჩევა ევტუშევსკის მეთოდისაგან. ევტუშევსკის აზრით ელემენტარული ანგარიშის შესასწავლად პირველ დასაწყისს სკოლებში საფუძვლად უნდა დაიდვას ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა ასამდის. შოხორტროცკსა და გოლდენბერგს რიცხვების შესწავლა სრულიად უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ მიაჩნიათ, იმათი აზრით პირველ დაწყებით ანგარიშის სწავლება უნდა სწარმოებდეს მოქმედებათა შესწავლის საშუალებით. უკანასკნელ დროში, როგორც თეორიულმა მოსაზრებამ, აგრეთვე გამოცდილებამაც დაარწმუნა ბევრი შოხორტროცკისა და გოლდენბერგის მეთოდის უპირატესობაში, რომელიც უფრო სწორად და პირდაპირ აღწევს ელემენტარულ ანგარიშის სწავლების მიზანს. რიცხვების შესწავლა ევტუშევსკის მეთოდის მიხედვით წარმოადგენს ერთნაირ მომაბეზრებელ სავარჯიშოს, რომელიც სწარმოებს სრულიად მეხანიკურად. ძნელია აგრეთვე დამახსოვრება ყველა რიცხვების აუარებელის კომბინაციებისა, რომელიც უფრო ადვილად შეისწავლების არითმეტიკულ მოქმედებათა საშუალებით. მიუხედავად ამისა ევტუშევსკის მეთოდს ბევრი კარგი ღირსება აქვს, რომელსაც ბევრი პედაგოგები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ და რომელსაც ჩვენ ქვემოდ თავისს ადგილზე მოვიხსენებთ.

კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ, მცირე თავისებურობასთან შეიცავს სავსებით გოლდენბერგისა და შოხორტროცკის მეთოდის განხორციელებას ჩვენის სკოლებისათვის. ამ მეთოდზე შედგენილი ანგარიშის სასწავლებლად საჭირო სახელმძღვანელო წიგნი ჩვენ ქართველებს ჯერ არ მოგვეპოვება, მაშინ როდესაც ევტუშევსკის კრებულები პირდაპირ ნათარგმნი, თუ გადმოკეთებულები სხვა-და-სხვა ავტორის მიერ, საკმაოდა გვაქვს. მთელი „კრებული" ბ-ნის ნატროშვილისა იპყრობს ორი წლის საჭირო მასალას, რომელიც შეადგენს ასამდის ანგარიშის შესასწავლად სხვა-და სხვა სავარჯიშოებს. პირველი წლის მასალას შეადგენს—პირველ დაწყებითი ანგარიში ერთიდგან—ათამდის და ანგარიში ათეულებზე ასამდის, რომლის დროსაც მოწაფეები გაიცნობენ შემდეგს ნაწერებს: $^1/_2$, $^1/_3$, $^1/_4$, $^1/_5$; მეორე წლის კურსს შეადგენს ვარჯიშობას თვლაში ერთიდგან ასამდის, გაცნობა უსაჭიროესის ზომებისა, შესწავლა მარტივი ნაწერებისა, დაშლა და გადაქცევა სახელწოდებულ რიცხვებისა. ამნაირად მკითხველი დაინახავს, რომ მოცულობის მხრით ევტუშევსკისა და გოლდენბერგის პროგრამმას შორის, რომელიც უნდა შეისწავლოს ბავშმა ორი წლის განმავლობაში, დიდი განსხვავება არ არის. ნაკლულევანება-კი ორი პროგრამმისა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ბავშვები სწავლობენ თვლას მხოლოდ ასამდის, მესამე განყოფილებისათვის რჩება მთელი კურსი არითმეტიკისა, რომლის რიგიანად შესწავლას სამწლიან სკოლებში ვერსად ვერ ასწრობენ, ამის მიხედვით ბევრი თანამედროვე პედაგოგები აცხადებენ სურვილს, რომ პირველი წლის განმავლობაში ბავშვებს შეძლებისადაგვარად შეასწავლონ ანგარიში ასამდის. განსხვავება ევტუშევსკის და გოლდენბერგის მეთოდთა შორის მდგომარეობს სწავლების წესში და ნაწერების ადრე გაცნობაში, რასაც ევტუშევსკი იწყებს მხოლოდ სისტემატიურის კურსის დასრულების შემდეგ—ლუბენეცი და ბ-ნი ნატროშვილი პირველი წლიდგანვე, გოლდენბერგი მეორე წლის დასასრულიდგან.

ბ-ნი ნატროშვილის „კრებული" პირველ თერთმეტ გვერდზე შეიცავს თვლაში ვარჯიშობას მასწავლებლის დახმარებით და დაუხმარებლად, ამისთვის ავტორს აუღია რგოლები, ჯვრები და ოთხ-კუთხა ფიგურები. სავარჯიშო მასალა ბლომად არის მოყვანილი, აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თვლის შესწავლა უფრო ნაყოფიერი ხდება, როცა ის დამყარებულია რეალურ საგნებზე და არა მარტო ფიგურებზედ, ამას გარდა თვლას ბავშვები სწავლობენ იმ დროს, როცა წაკითხვა კი არა, ანბანიც არ იციან, მაშასადამე იმ სავარჯიშოებს, რომელიც ამ განყოფილებაში მასწავლებელის დაუხმარებლად უნდა შეასრულონ, ვერც ერთი მოწაფე ვერ შეასრულებს. ციფრებს ავტორი აწერინებს ადრე და არა იმ წესზე, რომელიც ითხოვს წერის დროსაც ჯერ ადვილის წერას და შემდეგ უფრო ძნელისას. ამ განყოფილებაში შეინიშნება აგრეთვე თვლის სწავლების უმთავრესი პირობების დარღვევაც. მაგ. მეშვიდე გვერდიდგან მეთერთმეტემდის ხშირად შეხვდებით სხვა-და-სხვა საგნების მაგ. ჯვრის, რგოლის და ოთ-კუთხიან ფიგურების ერთად შეერთებას ამ ნაირად: 0 0 0 0 0 □ □=5+2=7. „Предметы для извѣстнаго упражненія

— არა ნაკლები ბრძოლა მოხდა იმავე დღეს ხმელეთზედაც, სანტ-იაგოს მახლობლად. აქ ამერიკელებს გამარჯვება უფრო მძიმად დაუჯდათ, ვიდრე ზღვაზედ. სამპსონმა ფლოტი ერთის თუ ორის საათის განმავლობაში გაანადგურა, შაფტერს კი რამდენისამე დღის ბრძოლა დასჭირდა, ვიდრე სანტ-იაგოს კედლებს მიაღწევდა. ესპანელები უსისხლოდ არც ერთს ნაჭერ მიწას არ უთმობდნენ ამერიკელებს. ამ ჟამად სანტ-იაგოს მიდამოები სისხლითაა მორწყული და დახოცილთა გვამებით მოფენილი. ორივე მხარე ლომებრ იბრძოდა, მაგრამ ბოლოს ამერიკის ჯარმა მაინც დასძლია და უკუ აქცია მოწინააღმდეგე. ამ ჟამად ამერიკელები უკვე შემოერტყნენ ქალაქს.

— გაზ. „New — jork — Herald“-ს კინსტონიდგან დეპეშით ატყობინებენ: „სანტ იაგოდგან გამოპარულმა კაცებმა განაცხადეს, რომ ქალაქის მცხოვრებელთა უმრავლესობამ ინგლისისა და ავსტრიის საკონსულოებთან მოიყარეს თავი და ელჩებს სთხოვდნენ, როგორმე გადაგვარჩინეთ ამოჟლეტასაო. მცხოვრებნი შიშის ზარმა მოიცვა. ყველა იმასდა სცდილობს, ხიფათს გადარჩეს და სადმე მიიმალოს — ინგლისის ელჩის ქალიშვილმა, რომელიც სხვებთან ერთად სანტ-იაგოდგან გამოიპარა, სთქვა, რომ შაბათსა და კვირას დილით ამერიკელების მიერ გამოსროლილი ყუმბარები საელჩოს შენობის გარშემო ცვიოდაო. ამ ჟამად სანტ-იაგოში მრავალი სახლი უკვე დანგრეულ-მონგრეულია, ხოლო დანარჩენი საავადმყოფოებად არის გადაქცეულიო“.

— ამერიკიდგან იუწყებიან, რომ ადმირალს სერვერს და ტყვე აფიცრებს კი-ვესტში გაგზავნიანო. სერვერი, რაც ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს, ძალიან დალონებული და დაფიქრებულიაო. რამდენიმე კაცი მიუჩინეს თვალყური ადევნონ, რადგანაც ეშინიათ, თავი არ მოიკლასო.

— ესპანიიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ კარლისტები სოფლებსა და ქალაქებს მოედვნენ და ხალხს აღელვებენო. დონ-კარლოსი მანიფესტს ამზადებს, რომელსაც ამ დღეებში გამოაქვეყნებს; რადგანაც დონ-კარლოსი, ესპანიის ტახტის მაძიებელი, ბელგიაში სცხოვრობს, ამ სახელმწიფოს მთავრობა დიდ თვალ-ყურს ადევნებს როგორც თვით დონ-კარლოსს, აგრეთვე იმის შვილს. მთავრობამ წინდაწინვე შეატყობინა მამა-შვილს, რომ იმ წამსვე გაგდევნით ბელგიიდგან, რა წამსაც თქვენ საპოლიტიკო მომხრეებს მიიღებთ და მოლაპარაკებას დაიწყებთ იმათთანაო.

—

**საფრანგეთი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, საფრანგეთის ახალს მთავრობას აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში ჯარისა და ფლოტის გამრავლების და საზოგადოდ მათის საუკეთესოდ მოწყობის საქმეს შეუდგეს. ზღვათა სამინისტრო ჰფიქრობს წარუდგინოს პარლამენტს პროექტი რამდენისამე ახალის გემის აგების შესახებ. აგრეთვე სხვა პროექტი იმის შესახებ, რომ დედა-მიწის სხვა და სხვა ადგილას ჯარს სულ იქმნას კარგად-გამაგრებული საწყობები, სადაც შეიძლებოდეს ნახშირის, სურსათის და საერთოდ ფლოტისათვის ყველა საჭირო მასალისა და საქონლის შენახვა. გამრავლებული იქმნება აგრეთვე ხმელეთის ჯარიც.

## „ქალი თუ ვაჟი“?

(თეორია პროფესორის შენკისა)

ექიმის ბ. ბადრიძის შენიშვნის გამო *)

როგორც ვიცით, მაჰმადიანები მრავალ ცოლიანობას („პოლიგამია“) მისდევენ, იმ მოსაზრებით, რომ, რაც შეიძლება ბევრი შვილები ეყოლოთ. მუსულმანების აზრით, მამა-კაცს მეტი ძალა აქვს მინიჭებული ბუნებისაგან, ვიდრე დედა კაცს, რომელსაც ერთის მეტი შვილის შობა არ შეუძლია წელიწადში. ერთ დროს, მართლაც ძრიელ მრავლდებოდნენ მუსულმანები. ეს ის დრო იყო, როცა ისინი ნივთიერად მდიდრები იყვნენ და, ორ ორ, სამ-სამ ცოლს ირთავდნენ, მაგრამ ყოველთვის ქალი მეტი იბადებოდა ვაჟზედ. „ჩვენ,—მითხრა ერთხელ ერთმა „ნოტაბლმა“, რომელსაც ოთხი ცოლი ჰყავს და ათიოდე ხალაიკები—(იგივე, თუ მოისურვებს, ცოლები),—იმიტომ ვიტაცებდით და ვყიდულობდით კავკასიის ქალიშვილებს, რომ ვაჟი მეტი შეგვძენოდა, მხოლოდ, საკვირველია, აქ ასე როდი გამოდიოდა. პროფესორის შენკის თეორიამ შესამჩნევად აალაპარაკა ჩვენი, გამრავლების მოთაყვანე მუსულმანები, ბევრი დაიწერა და ითქვა ჩვენში ამ საგანზედ, მაგრამ დაბოლოს-კი შენკის თეორია, თუ სრულიად უმნიშვნელოდ არა, ძლიერ გულცივად და უფერულად იქნა აღიარებული. ის საშვალებანი, რომელსაც შენკი ასახელებს, მხოლოდ ილიუზიად უნდა ჩაითვალოს. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ კავკასია, სადაც მეტ ნაწილს მცხოვრებლებისას წელიწადში ოცჯერაც არ შეუძლიათ ხორცი იგემონ, სულ ლობიო-ფხალით იკვებებიან. მაშ პროფესორის აზრით კავკასიაში ქალი მეტი უნდა იბადებოდეს ვაჟზედ. ყოველ შემთხვევაში საქმე რომ ხორცით კვებაში იყოს „ვეგეტარიანებს“, რომლებიც ხორცეულს სრულიად არ სჭამენ, სულ ქალები უნდა ეყოლოთო“. ასეთი შენიშვნა მისცეს თათრებმა შენკის თეორიას.

რასაკვირველია, ჯანმრთელობა კაცისათვის დიდი რამეა, საჭმელ-სასმელიც ხორცეული სჯობს [2]), მხოლოდ ქალისა თუ ვაჟის ყოლა, არც ერთზედ არ არის დამოკიდებული. მხოლოდ ჰავას, ადგილ-მდებარეობას და ცოლ-ქმრობის ცხოვრებას აქვს დიდი მნიშვნელობა. ყველაზედ უპირატესი ადგილი უჭირავს ზნეობრივს სიმრთელეს (Цѣломудренность). შემჩნეულია, თუ ახალგაზრდებს [2]) დაქორწილებისათანავე შვილი აჰყავთ, უმეტეს შემთხვევაში ვაჟია. ჯერ თვით იმისათვის, რომ ცოლ-ქმარს შვილი ეყოლოს, საჭიროა ცოლ-ქმარშუა თავდაჭერილი ცხოვრება, რომ სიყვარული გარყვნილებაზედ არ შეიცვალოს. მრავალ ცოლიან მუსულმანებს ყოველთვის ქალიშვილი მეტი ჰყავთ და ერთ ცოლიანებს-კი, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ ზნეობრივს სიფაქიზეს იცავენ — ვაჟი [3]).

იასე რაჭველი

*) იხ. „ივერია“ № 103

[1]) ბუნების მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ ხორცეული საჭმელი აუცილებლად საჭიროა კაცისათვის, არა მარტო იმისთვის, რომ ის უფრო ნოყიერია მცენარეულობაზედ, არამედ ეს საჭიროა ჭკუის განვითარებისთვის. ძაღლი, კატა და სხვა ხორცის მჭამელი პირუტყვნი ყოველთვის უმარდესი და უჭკვიანესია ბალახის მჭამელ პირუტყვებზედო.

[2]) მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი ზნეობრივი ცხოვრება უმანკო იყო. თუ გარყვნილობა არ გამოუცდიათ. თუ არც თითონ და არც მათი მშობლები ცუდის სენით ავად არ ყოფილან.

[3]) შემჩნეულია, იმ ცოლებს, რომლების ქმრები თვეში ერთხელ ძლივს მოდიან სახლში, მეტ შემთხვევაში ვაჟები ებადებათ. ი. რ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩვენს მოწაფეებს დიდი ხანია გაუთავდათ ეგზამენები და თავისუფალნი არიან მთელის ზაფხულით, ჩეხიაში-კი ბავშვები ეხლაც სასწავლებელში არიან და სწავლობენ დილის 8 საათიდგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 4 საათამდე, უქმე დღეც იმათ ნაკლები აქვთ, მაგრამ იქაური მოწაფეები მაინც არ ემდურიან თავისს ბედს. მართალია, ოთხშაბათობით და შაბათობით მოწაფენი მხოლოდ 12 საათამდე სწავლობენ და დანარჩენ დროს თამაშობაში ატარებენ სუფთა ჰაერზე. ჩეხებ-ინგლისელებსა ჰბაძავენ და იმათ სკოლაშიაც, როგორც ინგლისის სკოლებში, ბავშვები კარგა დროს ატარებენ თამაშობაში სუფთა ჰაერზე. პრაგაში, მაგალითად, ქალაქის განაპირას, გამართულია მშვენიერი ბაღი, სადაც ბავშვები სუფთა ჰაერზე თამაშობენ.

ამ გვარი წესდება სკოლებისათვის, ჩვენი საზრით, ურიგო არ არის. ბავშვები ორის საათის განმავლობაში მოასწრებენ ხოლმე კარგად დაისვენონ, ისადილონ და დანარჩენი ორი საათი ისევ სწავლას მოახმარონ. საღამოთი დიდი ჯაფა არა აქვთ ხოლმე მოწაფეებს, რადგანაც გაკვეთილების მომზადებას ოთხშაბათობით და შაბათობით აძლევენ [illegible] კვირაობით სწავლა არ არის. [illegible] წესი არის ინგლისისა და ბელგიის სკოლებში.

ქალაქ პრაგას საბჭო ძლიერ ბევრსა სცდილობს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებაზე. ავსტრიელებისა და ჩეხების სკოლებში ერთგვარი წესი სუფევს: ფოლკშულე და ბურგეშულე ვაჟებისა და ქალებისათვის და გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები ვაჟებისათვის. ყველა ამ სასწავლებლებში შეუძლიანთ ისწავლონ ყველა წოდების დედ-მამის ბავშვებს. მხოლოდ ერთი სასწავლებელი არის აქ, რომელშიაც წარჩინებულ კაცთა შვილები სწავლობენ. ეს სასწავლებელი არის „სტრაკას აკადემია“. ეს აკადემია ასე დაარსდა: ორასის წლის წინად ერთმა წარჩინებულმა ჩეხმა, გვარად სტრაკამ, შესწირა საკმაო ფული ჩეხიის ღარიბ კეთილშობილთა შვილებისათვის სასწავლებლის დასაარსებლად. ომის შემდეგ ჩეხიის კეთილშობილნი ძლიერ გაღარიბდნენ და გვარების გამოცვლაც-კი დაიწყეს. მაგალითად, სკოჩგოპოლის გვარი გადიქცა შპრინგფელდის გვარად და სხვ. ამ რიგად, ჩეხიის კეთილშობილნი თითქმის გაჰქრნენ და ამიტომ ქველმოქმედის სტრაკას სურვილის ასრულება ცოტა არ იყოს ძნელი შეიქმნა. მთელის ორასის წლის განმავლობაში დიდს ფიქრში იყვნენ, რა ვუყოთ ამ ფულსაო. სტრაკას მიერ შეწირულ ფულს სარგებელი თანდათან ემატებოდა, ფულს ფული მიეკეცა და იმდენი შეგროვდა, რომ ჩეხებმა ბოლოს მშვენიერი სასახლე ააგეს სასწავლებლისათვის და გადასწყვიტეს, ამ სასწავლებელში მივიღოთ ჩეხიის კეთილშობილთა შვილები, ისეთებისაც კი, ვინც გვარი გამოიცვალაო. ეს მეორე წელიწადია, რაც სასწავლებელი არსებობს. ჯერ-ჯერობით ამ აკადემიაში სწავლობს 35 მოსწავლე, თუმცა 120 მოსწავლისათვის არის გამართული. სასწავლებელშივეა ეკკლესია, რომელშიაც დღე ყოველ წირვა-ლოცვაა. ასეთია სურვილი თვით ფულის შემწირველისა. მოწაფეები დგებიან დილის 5 საათზედ, მოისმენენ ლოცვას და 8 საათზე მიდიან სასწავლებელში. ესეთი წესი არ მოსწონს აკადემიის დირექტორს, რადგანაც მუდამ თვალ-ყურს ვერ ადევნებს მოწაფეებს და სულ იმის ფიქრშია, რომ სასწავლებელიც თვით აკადემიაში გავმართოთ.

რაც შეეხება დედათა განათლებას, ჩეხია ბევრს ვერაფერს დაიკვეხებს. ჩეხელი ქალები ათავებენ რა 14—15 წლისანი სწავლას, შემდეგ საოსტატო სასწავლებელში შედიან და იქ სწავლის დამთავრების შემდეგ დაბალ სკოლებში მიდიან მასწავლებლებად. უმაღლესი სასწავლებელი ქალთათვის მხო-

---

надобно брать однородные, такъ какъ сущность процесса образованія представленій о числахъ состоитъ въ томъ, что *одинъ и тотъ же* предметъ повторяется нѣсколько разъ“ (იხ. პედაგოგიკა ოლესნიცკისა გვ. 121).

ამის შემდეგ ბ-ნ ნატროშვილის „კრებულში“ შეხვდებით ამოცანებს შეერთებაზე, გამოკლებაზე, გამრავლებაზე, გაყოფაზე და სხვ. სწორედ იმ წესით, როგორც გოლდენბერგს აქვს თავისს „კრებულში“. ამ ნაირად დალაგებას ამოცანებისას მოქმედებებზე სასურველი ნაყოფი არ მოაქვს. ბავშვები წინდაწინვე მიხვდებიან, რომ იმ ამოცანებს, რომელსაც სათაურში შეერთება უწერია, გაკეთება შეერთების საშუალებით უნდა, ამიტომ ამ შემთხვევაში ბავშვის გონება თავის თავად სრულიად არ მუშაობს, ის სრულიად მიპყრობილია ამოცანაში მოცემულის რიცხვების შეერთებაზე მეხანიკურად. საზოგადოთ ეს წესი—ამოცანების დალაგების მოქმედებებზე, როგორც ხელოვნური წესი, არ ეთანხმება ბავშვების გონებით განვითარების საქმეს ანგარიშის სწავლების დროს აზროვნობაში და ამიტომ მიტოვებული უნდა იქმნას. თვითონ ცხოვრება ხუთი ექვსი წლის ბავშვს და მით უფრო შვიდ რვა წლისას, ასწავლის ანგარიშის სხვა-და-სხვა პროცესს, მოქმედებებს. როგორც სხეული ადამიანისა უფრო მაგრდება და ვითარდება, როცა იკვებება სხვა-და-სხვა ნაირი საჭმლით და არა მარტო პურით, ისე ბავშვის სულიერი ძალაც უფრო ვითარდება და მაგრდება, როცა აწვდით მას სხვა-და-სხვა გვარს შესაფერისს საზრდოს გონებისას. კვებეთ ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში მარტო პურით და ადვილად მიხვდებით, რა გავლენა ექნება ამნაირად გამოკვებას ბავშვის სხეულზე; აძლიეთ ბავშვს ერთი კვირის განმავლობაში ამოცანები მარტო შეერთებაზე და თუ კარგი დაკვირვება გაქვთ იმასვე შენიშნავთ. ამის მიხედვით ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ გრუბე და ევტუშევსკი უფრო ღრმად ჩასწვდენ ბავშვის გონების ბუნებით მოთხოვნილებას და სამართლიანად ამტკიცებენ, რომ „нѣтъ надобности дѣлать подборъ задачъ по рубрикамъ“, ე. ი. საჭირო არ არის ბავშვებმა აკეთონ ამოცანები ჯერ შეერთებაზე—რამდენიმე ხნის შემდეგ გამოკლებაზე და სხვა.

ეხლა ცოტას მოგახსენებთ ნაწევრების შესწავლის შესახებაც, რომელსაც ბ-ნი ნატროშვილი იწყებს გოლდენბერგზე უფრო ადრე. ყველგან შენიშნულია, რომ მარტივი ნაწევრების შესწავლა დიდს სიძნელეს წარმოადგენს მოწაფეების მხრით არა თუ პირველი წლიდგანვე, არამედ სისტემატიური კურსის დასრულების შემდეგაც. რუსების სკოლებში ბევრგან, სადაც სწავლება ოთხ წელიწადს სწარმოებს, სცადეს მეოთხე წელიწადს მარტივ ნაწევრებზე ოთხი მოქმედების შესწავლა, რომელსაც ყველგან შემდეგი შედეგი მოჰყვა: „результаты, получаемые здѣсь, или неудовлетворительны, или крайне непрочны. Знанiе простыхъ дробей при болѣе систематическомъ курсѣ не легко и легко забывается; возстановить въ памяти тѣ или другiя правила путемъ личнаго соображенiя для очень многихъ тоже оказывается труднымъ“ (იხ. მეთოდ. სახელმძღ. სახალხო სკოლების დირექციისა ნიჟეგოროდის გუბერნიაში).

თუ სამ წლის სწავლების შემდეგ მეოთხე წელიწადს უძნელდებათ ბავშვებს მარტივი ნაწევრების შესწავლა, რაშიაც ჩვენც გამოცდილებიდგან დარწმუნებული ვართ, მით უფრო ძნელი უნდა იყოს ნაწევრების შესწავლა პირველი წლიდგანვე, როგორც ურჩევენ თავიანთ კრებულებში ლუბენცი და ბ-ნი ნატროშვილი. მაგ. $1^1/_2 = 3^3/_4$ —; $^3/_4 : ^1/_4$; $3^1/_5 - ^3/_5$ ანუ $(^3/_4 \times ^3/_4) \times 2$; $(2^3/_4 \times 3^1/_4) \times 3$; $(5^1/_4 \times 3^3/_4) \times 3$; და სხ. რვა წლის ბავშვისათვის, ისიც მასწავლებლის დაუხმარებლად, როგორც ურჩევს ბ-ნი ნატროშვილი ადვილად გასაგები არ არის.

გაყოფისათვის ბ-ნი ნატროშვილის „კრებულში“ თავიდგანვე შეხვდებით ორს ნიშანს: : და |—; მეორე ნიშანს საზოგადოთ ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გასაყოფად აღებულია მრავალ ნიშნოვანი რიცხვი, რომ ამ შემთხვევაში ნაწილადი ცხადათ იყოს განსაზღვრული და სხვა რიცხვებს არ შაერიოს, ასეც იქცევიან არითმეტიკის ყველა სახელმძღვანელოებისა და „კრებულების“ ავტორები, გარდა ბ-ნის ნატროშვილისა.—

ერთს საჭირო და აუცილებელ საგანს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ „კრებულების“ ავტორებმა, შეადგენს ამოცანების დალაგება სიძნელისა და გვარად. ყველა ტიპიურს ამოცანებს, რომელსაც მოსწავლეები აკეთებენ მასწავლებლის დახმარებით, უნდა მოჰყვებოდეს ანალოგიური ამოცანები, რომელსაც მოწაფეები აკეთებენ დამოუკიდებლად, თავის თავად, წინა ამოცანის მიხედვით; ეს წესი მეტ-ნაკლებობით დაცული აქვს ევტუშევსკის და ბ-ნ ნატროშვილსაც ზოგიერთს შემთხვევებში, მხოლოდ უმეტესი ნაწილი ბ-ნი ნატროშვილის ამოცანების ალგებრიულის ხასიათისაა, რასაც, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ელემენტარულ ანგარიშის სწავლებაში.—

საზოგადოდ ბ-ნი ნატროშვილის „კრებულს“ ისეთივე ნაკლულევანება აქვს, როგორიც ბევრს რუსულ კრებულებს ამოცანებისას. მიუხედავად ამისდა ბ-ნ ნატროშვილის „კრებულის“ ხმარება ჩვენს სკოლებში, სადაც ანგარიშს გოლდენბერგის პროგრამმის მიხედვით ასწავლიან, გამოცდილ მასწავლებლის ხელში სარგებლის მოტანაც შეუძლიან, მით უფრო, რომ ამ ნაირი „კრებული“, რომელიც ავტორის სიტყვით—„არის ნაყოფი ახალი პედაგოგიური მიმართულებისა“, ერთად-ერთი სახელმძღვანელოა.

ლ. ბოცვაძე

ლოდ ერთია, რომელიც ჩვენებურს გიმნაზიას წააგავს. აღმზრდელ ქალებს კარგი ჯამაგირი აქვთ დანიშნული. სასწავლებელში სულ 6 კლასია, მაგრამ ვინც სწავლას დაამთავრებს, არავითარი უფლება არ ეძლევა. აქა სწავლობს სულ 500 ქალი და მათ შორის უფრო ბევრნი შეძლებულ კაცთა შვილები არიან.

დედათა განათლების საქმეს დიდი ყურადღება მიაქციეს ჩეხელმა ქალებმა და განზრახვა აქვთ დააარსონ დედათა უმაღლესი სასწავლებელი და გიმნაზია.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 ივლისი

**შანხაი.** ჩეუნ ძინიდგან დეპეშით იუწყებიან: „მეამბოხენი თავს დაესხნენ შუნ-ჩეუნ-ფუში პროტესტანტთა და კათოლიკეთა მისსიებს; ბევრი ზარალი მიაყენეს იუზნ-ჩჯონს და სხვა მახლობელ ქალაქებსაო. ერთი ფრანგი მღვდელი ტყვედ წაიყვანეს; მეამბოხენი იმის დასახსნელად 10,000 ტელს თხოულობენ. ამოწყვიტეს მრავალი ადგილობრივი მცხოვრებელი და დაიტაცეს მათი ქონება. ელჩები ჩეუნ ძინიდგან „ალერტ“-ის გემზედ გადავიდნენ. ქალაქ ჩეუნ-ძინში მშვიდობიანობაა.

**მადრიდი.** ამერიკელები თხოულობენ ზავის პირობებად, დაეთმოთ მათ კუბა, პორტორიკო, ერთი ნავთსადგური კანარის კუნძულებში და 1,200 მილლ. დოლლარი, ფილიპეს კუნძულებთან ერთად; ეს უკანასკნელი როგორც გირაო. მთავრობამ პირობები მეტად მძიმე და ძნელად სცნო.

**მადრიდი.** ის ხმა, რომ კაბინეტში უთანხმოებააო, მართლდება. კონსერვატორები ამბობენ, რომ ზავის დადება შეიძლება, თუ კუბის მეტს არასფერს დავკარგავთო; ხოლო თუ ამერიკელებმა პორტო-რიკო, ფილიპეს კუნძულები და ბევრი ფული მოითხოვეს, ომი უნდა განვაგრძოთო. კარლისტები მზად არიან იმ წამსვე ჩაერივნენ საქმეში, რა წამსაც მთავრობა ერთ ნაჭერ მიწას დაუთმობს ამერიკას. დონ-კარლოსმა ნათლად გამოსთქვა თავისი აზრი.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ი უარსა ჰყოფს მადრიდიდგან მოსულ დეპეშას და ამბობს, რომ შტატებს არ მოუთხოვნია კუბა, პორტო-რიკო, ნავთ-სადგური კანარის კუნძულებში და 240 მილ. დოლლარი ფილიპეს კუნძულებითურთ. კაბინეტის ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მთავრობას ჯერ არავითარი წინადადება არ მიუცია შტატებისათვის ზავის შესახებაო.

**პარიჟი.** მადრიდიდგან იუწყებიან, რომ საგასტამ, დედოფლის მინდობილებით, შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელიც შესდგება გომაზოსა, ნოვარროსა, როდრიგოსა, ალმოდოვაროსა, მონტეროსა, რიოსო'ა და გენერალის ჩინჩილიასაგანაო. მარშალი კომპასი მადრიდის გენერალ-გუბერნატორად იქმნება დანიშნულიო.

**პეტერბურგი.** 67 ტირაჟში გამოსული ბილეთები პირველი სესხისა. ნომრები სერიასა.

3524, 9799, 12533, 4807, 19876, 17123, 12868, 12094, 1599, 7, 258, 11982, 13758, 11655, 19290, 2863, 17548, 10984, 8973, 6048, 17425, 14954, 14412, 7850, 2972, 8156, 1227, 15165, 14518, 7962, 15321, 16349, 9633, 153, 5090, 2713, 3764, 12425, 4235, 16190, 5113, 18856, 6450, 1243, 13333, 4537, 3801, 10807, 13106, 18493, 609, 1183, 14841, 11047, 18675, 4925, 13676, 3680, 18026, 6942, 4454, 10983, 19202, 7359, 4348, 4109, 11658, 14137, 3698, 7644, 5944, 4453, 3818, 19076, 16004, 11504, 6992, 3528, 11861, 4561, 14328, 13862, 5818, 690, 10463, 16797, 17848, 6371, 19584, 2792, 6474, 11459, 5629, 10866, 2801, 15489, 6445 19674, 2963, 1435, 493, 9798, 10055, 10058, 19158, 5580, 13088, 17643, 12998, 19463, 792, 7529, 3939, 8117, 156, 6566, 15361, 15056, 16955, 5689, 8747, 1142, 11713, 3226, 3740, 7994, 6853, 854, 19938, 18718, 19696, 14977, 17242, 15539, 1855, 18041, 13255, 1192, 14638, 13915, 17612, 16150. 9850, 15625, 10167, 5613, 16786, 3176, 11651, 18167, 3949, 18594, 5014, 1144, 2860, 4005, 13490, 18304, 1707, 2779 7874, 12044, 19532, 15177, 7739, 6080, 17491, 7838, 12699, 15716, 9875, 1171, 2615, 8464, 1088, 13239, 587, 12201, 13220, 17970, 14104, 5803, 8963, 8712, 10125, 1986, 5746, 19800, 15441, 3076, 10754, 13819, 13564, 8373, 8380, 1091, 15528, 2770, 9781, 16104, 1524, 10069, 4020, 15181, 6469, 19884, 4263, 18963, 6054, 9249, 5369, 14387, 13037, 14956, 15913, 14802, 13196, 3053, 9204, 18929, 1594, 15879, 9726.

7 ივლისი

**ვაშინგტონი.** დეიმ განაცხადა, რომ ზავის შესახებ არავითარი წინადადება არა ყოფილაო.

**სიბონე.** კვირასა და ორშაბათს ფლოტი სანტ-იაგოს ყუმბარებს ესროდა. ამავე დროს ხმელეთის ჯარი მიუახლოვდა ქალაქს და ესპანელნი უკანასკნელ სიმაგრეებიდგან განდევნა. შემდეგ სროლას თავი დაანებეს. შიფტერმა ტორალს კაცები გაუგზავნა მოსალაპარაკებლად. შაფტერმა, შეუთვალა რა, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ და აგრეთვე ის, რომ ელ-კანეიადგან გამოქცეული 18,000 კაცი შიმშილით იხოცება, რადგანაც ჩვენ მათი გამოკვება არ შეგვიძლიან, მოსთხოვა ტორალს, ქალაქი დაგვიმორჩილეთო. ტარალმა მიუგო, რომ ჯერ მთავრობას უნდა შევეკითხოო.

**მადრიდი.** კარგა ხნის სროლის შემდეგ, სანტ-იაგომ თეთრი დროშა აღმართა. ამ მოქმედების აზრი არ უწყიან. ამბობენ, რომ ესპანელნი ქალაქიდგან გავიდნენო.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $216\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 120 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $100\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | $100\frac{1}{4}$ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 286 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 249 | — „ | — „ |

---

## წერილი რედაქციის მიმართ

აკეთის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველმა ბ-ნმა ა. გეგეჭკორმა გადმომცა მე 8 მ. და 16 კ., რომელიც მას მოუგია აკეთის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ სასწავლო ნივთების გაყიდვით. ბ. გეგეჭკორის სურვილი ისაა, რომ ეს ფული ხელ-უხლებელი იყოს, ვიდრე 30—40 მ. არ შესდგება. ამნაირად წიგნთ-საცავს ექნება სამუდამო თანხა და შეეძლება შეიძინოს წვრილმანი სასწავლო ნივთები მაგ. რვეულები, კალმები, კალმის ტარები, მელანი და სხვ. და, ჰყიდოს ზომიერ ფასად ახლო-მახლო სკოლების მოწაფეებზე. ამითი ორი კეთილი საქმე გაკეთდება. პატარა მოწაფეებსაც შეძლება ექნებათ ზომიერ ფასად სასწავლო ნივთები შეიძინონ და წიგნთ-საცავსაც ცოტაოდენი მუდმივი წყარო ექნება შემოსავლისა. თუ ისევ დავბრუნდი აკეთშიო, სთქვა ბ-ნმა გეგეჭკორმა, ამ საქმის გაძღოლას მევე ვიკისრებო. თუ არა და თქვენვე შეადგინეთ ამ ფულიანად საჭირო თანხა, რომ სასწავლო ნივთების დაბარება შეიძლოთ, თავენი თქვენვე მოიხმარეთ, ხოლო მოსაგები ამ ფულს მიუმატეთ სამუდამო თანხის შესადგენადაო. განზრახვა ბ-ნის გეგეჭკორისა ფრიად სიმპატიურია და ამისათვის ის მადლობის ღირსიც არის. ჩემის მხრით მადლობასაც ვუძღვნი და ამ ამბავს და მისს სურვილს წიგნთ საცავის გულ-შემატკივართა საყურადღებოდ ვაცხადებ.

მღ. ლავრენტი წულაძე

---

# განცხადებანი


ივანე იაკობის ძე

**დოლგოლენკო**

5 ივლისიდგან **ქ. გორში** იკისრებს და აწარმოებს მსურველთა სამოქალაქო, მამულების გამიჯვნისა და სისხლის სამართლის საქმეებს საზოგადო და მომრიგებელ სამოსამართლო დაწესებულებაში. ქალ. გორი, სახლი სტეფანე ზუბიევისა. ჩემ შინ არ ყოფნის დროს მსურველთ მიჰმართონ სტეფანე იოსების ძე ზუბიევს, რომელიც იქავე სცხოვრობს.

(3—102—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან**

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც-დაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11)—(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $189^8/_9$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

**ქართლის ცხოვრება**

წიგნი მეორე, ტომი პირველი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

**ფასი ერთი მანათი.**

(3—უ.—3).



დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გაარჩევი მკოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან,—დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილიამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავსზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

**მხოლოდ 10 და 12 მან.**

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

**შ. გეილერის**

**საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,**

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის' რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან. (10—მ.—9)


Дозволено цензурою, Тифлисъ 2 го Іюля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.